# IDEARCH GROUP

PORTFOLIO



პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროს ოთხ სართულიანი შენობის, აუზისა, ღია პარკინგებისა და 24 კოტეჯის მშენებლობა.

სასტუმროს შენობა განთავსებულია მიწის ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში და მას, გააჩნია 4 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული.

მიწისქვეშა სართული დატვირთულია სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკური სივრცეებით ხოლო + 0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია: ლობი, რესტორანი, საერთო სველი წერტილები, საოფისე ფართები. 2,3 და 4 სართულებზი დათმობილი აქვს სასტუმროს ნომრებს.

სტატუსი: მიმდინარე

# სასტუმრო რეზორტი სურამში











# მრავალფუნქციური სპორტკომპლექსი-ხობი

















ახალი სპორტული კომპლექსი ყოფილი კინოთეატრის – ”თუთარჩელას” შენობაში მოეწყო.
კინოთეატრის შენობის სპორტულ კომპლექსად ადაპტირების პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა და მისმა ღირებულებამ 3.2 მილიონი ლარი შეადგინა
სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სპორტულ კომპლექსში მოეწყო კრივის რინგი, საჭიდაო მოედანი, ფიტნესისა და მკლავჭიდის დარბაზები, ჭადრაკის დარბაზი და საბილიარდო სპორტკომპლექსში გათვალისწინებულია სწრაფი კვების და ბავშვთა გასართობი 3D ოთახები, ადმინისტრაციისა და სამედიცინო პუნქტები. ასევე, მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები, სანიტარული კვანძები, მწვრთნელისა და დამლაგებლის ოთახები შენობში მოწესრიგდა ელექტრომომარაგების, გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. მოეწყო კანალიზაციისა და ბიოლოგიური სპეციალური გამწმენდი.
შენობას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ჩაუტარდა მზიდი კონსტრუქციების გამაგრების სამუშაოები. სპორტკომპლექსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხობში, სადაც სპორტდარბაზი დღემდე არ არსებობდა, სპორტით დაინტერესებული ადამიანებს, მათ შორის ახალგაზრდებს, კეთილმოწყობილ გარემოში ვარჯიშისა და სპორტის მრავალ სახეობაში ტურნირების გამართვის საშუალება მიეცათ.ადგილობრივი მასალის გამოყენება.

სტატუსი: დასრულებული



# კობი-გუდაური











დასახელება:
ადმინისტრაციული შენობა კობში.

მახასიათებლები:
2019 წელი.

მისამართი:
რაიონი ყაზბეგი, სოფელი კობი.

კვადრატულობა:
600 M2

შენობის სტატუსი:
ადმინისტრაციული შენობა

კატეგორია:
მიმდინარე

საკადასტრო კოდი:
74.05.11.195 75.05.11.279

აღწერა:
საპროექტო ტერიტორია, მდებარეობს კობი-გუდაურის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე.
პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი შენობის დაპროექტებას.
აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების მქონე, მაღალი კლასის ადმინისტრაციულ შენობას.
პროექტირებისას გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი კლიმატი და გარემო-პირობები.
ასევე, მშენებლობის პროცესში დაგეგმილია ადგილობრივი მასალის გამოყენება.

სტატუსი: დასრულებული







# კერძო სახლი - წყნეთი

მახასიათებლები:
2018 წელი

მისამართი:
ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N-2

შენობის სტატუსი:
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

კატეგორია:
დასრულებული

აღწერა:
საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ .თბილისში დაბა წყნეთში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N2

ტერიტორია ხასიათდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დახრილი რელიეფით. ნაკვეთს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება სამანქანო გზა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთები. საპროექტო შენობა წარმოადგენს ერთბინიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს. შენობა არის ახალი სპორტული კომპლექსი ყოფილი კინოთეატრის - თუთარჩელას შენობაში მოეწყო. კინოთეატრის შენობის სპორტულ კომპლექსად ადაპტირების პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა და მისმა ღირებულებამ 3.2 მილიონი ლარი შეადგინა

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სპორტულ კომპლექსში მოეწყო კრივის რინგი, საჭიდაო მოედანი, ფიტნესისა და მკლავჭიდის დარბაზები, ჭადრაკის დარბაზი და საბილიარდო სპორტკომპლექსში გათვალისწინებულია სწრაფი კვების და ბავშვთა გასართობი 3D ოთახები, ადმინისტრაციისა და სამედიცინო პუნქტები. ასევე, მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები, სანიტარული კვანძები, მწვრთნელისა და დამლაგებლის ოთახები შენობში მოწესრიგდა ელექტრომომარაგების, გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. მოეწყო კანალიზაციისა და ბიოლოგიური სპეციალური გამწმენდი. შენობას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ჩაუტარდა მზიდი კონსტრუქციების გამაგრების სამუშაოები. სპორტკომპლექსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხობში, სადაც სპორტდარბაზი დღემდე არ არსებობდა, სპორტით დაინტერესებული ადამიანებს, მათ შორის ახალგაზრდებს, კეთილმოწყობილ გარემოში ვარჯიშისა და სპორტის მრავალ სახეობაში ტურნირების გამართვის საშუალება მიეცათ.

სტატუსი: დასრულებული













# ამბასადორის საზაფხულო სკოლა

წარმოგიდგენთ "აკადემიას" – ჩვენს ახალ, განსხვავებული კონცეფციის პროექტს, რომელიც ბრიტანული არქიტექტურით შთაგონებული ექსტერიერით გამოირჩევა!

"აკადემია-ამბასადორი" კაჭრეთის ტერიტორიაზე, კომპლექსის ქვედა ნაწილში, მყუდრო ადგილას მდებარეობს, რაც იდეალურ ატმოსფეროს ქმნის, როგორც მშვიდი დასვენებისთვის, ასევე სამუშაო შეხვედრებისთვის, სემინარებისა და სხვადასხვა ტიპის კონფერენციებისთვის.

სასტუმრო "აკადემია" 4 სხვადასხვა კატეგორიის 40-ზე მეტ ნომერს, ბარ-რესტორანს, საკონფერენციო სივრცეებს და შიდა ეზოს აერთიანებს.

შენობის წინ არსებული მდიდარი სპორტული ინფრასტრუქტურა (როგორიცაა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და საცხენოსნო მოედნები, ჩოგბურთის კორტები, დახურული სასროლეთი) კი საშუალებას იძლევა უმასპინძლოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის სპორტულ შეჯიბრებებს, ასევე სხვადასხვა სპორტული კლუბის გასვლით ვარჯიშებს.

სტატუსი: დასრულებული







# ოქროყანა









საპროექტო მიწის ნაკვეთი (81.02.20.255) მდებარეობს ქ.თბილისში, სოფელ ოქროყანა ნაკვეთს ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (სამანქანო გზა), ხოლო დანარჩენი მხარეებიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთები. საპროექტო შენობა წარმაოდგენს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გააჩნია ორი მიწის ზედა სართული. საპროექტო შენობის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასს. შენობის სახურავი არის ბრტყელი. შენობის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ქვის მოპირკეთება და საფასადე ხე ხოლო ნაწილობრივ ლესვა-ღებვით. კარისა და ფანჯრის ღიობები შევსებული იქნება ალუმინის ორმაგი მინა პაკეტით საპროექტო შენობის აბსოლუტური ნიშნული + 0.00 = + 814.50

სტატუსი: მიმდინარე





# პრეზიდენტის სასახლე



პროექტი:
პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის ადაპტაციის პროექტი

მიზანი:
პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის რეაბილიტაცია/ადაპტაციის პროექტი მიზნად ისახავდა მოცემული სივრცის ძველი ხელნაკეთი ქართული, აზერბაიჯანული და სომხური რუკებისა და ხელნაწერების მუზეუმის დიზაინ პროექტს.

პროექტის სტატუსი: დასრულებული





















# სასტუმრო კომპლექსი ქობულეთში

პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროს შვიდ სართულიანი შენობის, ცალკე მდგომი აუზის, და ღია პარკგინგების მშენებლობა სასტუმროს შენობა განთავსებულია მიწის ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში და მას, გააჩნია 6 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული. მიწისქვეშა სართული დატვირთულია სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკური სივრცეებით ხოლო + 0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია: ლობი, რესტორანი, საერთო სველი წერტილები, საოფისე ფართები. 2,3,4,5 და 6 სართულები დათმობილი აქვს სასტუმროს ნომრებს.
სტატუსი: დასრულებული







# სასტუმრო – ROYAL INN

დასახელება: სასტუმრო ქურდიანზე

მახასიათებლები: 2018 წელი

მისამართი: ქ .თბილისში ქუჩა ქურდიანი N-19

კვადრატულობა: 820

შენობის სტატუსი: სასტუმრო

სტატუსი: დასრულებული

საკადასტრო კოდი : 01.16.05.031.019

აღწერა:
სარეაბილიტაციო შენობა განთავსებულია ქალაქის ისტორიულ ნაწილში, დ.აღმაშენებელის პროსპექტის მიმდებარედ, რომელიც მე-19 საუკუნის განმავლობაში განაშენიანდა და ქ. თბილისის ერთ-ერთ ძირითად არტერიას წარმოადგენდა.

ქურდიანის, ყოფილი ალექსეევის ქუჩა, N9 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია.

ძეგლმა ჩვენამდე თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია
ძეგლის რეაბილიტაცია/ადაპტაცია,

შენობის ფუნქცია იცვლება სასტუმროს ტიპის შენობად.

სტატუსი: დასრულებული

















# ინდ. სახლი საგურამოში

საპროექტო მიწის ნაკვეთი, ს/კ: 72.06.05.100.069
მისამართი: ქ.მცხეთა, სოფელი საგურამო

აღწერა: ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (სამანქანო გზა), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთები.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გააჩნია ორი მიწისზედა სართული და სარდაფი. საპროექტო შენობის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასს.
შენობის სახურავი არის ბრტყელ ქანობიანი. შენობის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აგური, ხოლო ნაწილობრივ ლესვა-ღებვა ასევე ხისა და ლითონის ჩანართები. კარისა და ფანჯრის ღიობები შევსებული იქნება ალუმინის ორმაგი მინა პაკეტით.

სტატუსი: დასრულებული









# ავლაბარი – საოჯახო სასტუმრო

პროექტის ფარგლებში მოხდა ქ.თბილისში გარე კახეთის № 15-ში არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დაშლა და მის ნაცვლად 21 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა  ტერიტორია წარმოადგენს მართკუთხა ნაკვეთს.

მას დასავლეთით ესაზღვრება გარე  კახეთის  ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ზედ მდგომი შენობა ნაგებობებით.

სასტუმრო შენობა მიწის ზემოთ ოთხსართულიანია -1 სართულით . სართლებზე განთავსებულია, 21 ნომრიანი საოჯახო სასტუმრო კაფე ბარითა და რესტორნით, საინფორმაციო-მიმღები (რეცეპცია) პირველ სართულზე 3 ნომრით.

შენობაში არის 2 კიბის უჯრედი გარე და შიდა ლიფტი, სასტუმრო შენობა კარკასულია. გარე პერიმეტრი შევსებულია ბლოკით და გათვალისწინებულია მისი ცეცხმედეგობა.

მოსაპირეთებელ მასალად გამოყენებულია აგური, აგურის ფილები, ხის დეკორაციული პანელები და მაღალხარისხოვანი შელესვა და ღებვა წყალმედეგი საღებავით.

სტატუსი: დასრულებული













# გლდანი
# მრავალფუნქციური შენობა

პროექტის მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, აკაკი ვასაძის ქ. 16ა

პროექტი მიზნად ისახავდა, მითითებულ მისამართზე რესტორნისა და კაფეს მშენებლობას.

შენობა არის  ორსართულიანი და გააჩნია სარდაფის სართული.

სარდაფის სართული გამოყენებულია სასაწყობედ.

პირველ სართულზე მოწყობილია კაფის,რესტორნისა და საოფისე ფართები.

მეორე სართულზე რესტორნისთვის საჭირო კუპეები და ადმინისტრაციის სივრცეები განთავსებული.

შენობა კარკასულია და მის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აგური.

აივნები შეღებილია ბეტონის ფაქტურიანი საღებავით, რომელიც განსაკუთრებულ ვიზუალს სძენს ობიექტს.

სტატუსი: დასრულებული















# ვარკეთილი - მოლი

პროექტი წარმოადგენს თანამედროვე მრავალფუნქციურ სავაჭრო ცენტრს მეტრო "ვარკეთილის" მიმდებარედ, ქაოსურად განვითარებულ ტერიტორიაზე, სადაც აქამდე არსებობდა დაბალხარისხიანი გზისპირა კომერციული ფართები.

გრგ-ს კორექტირებით დაზუსტდა ზონირება (სსზ-2) და პროექტს დაემატა მცირე დამატებითი ნაკვეთი, რაც უზრუნველყოფს ერთი ფუნქციური რეჟიმის გავრცელებას მთელ ტერიტორიაზე. კომპლექსის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 22,000 მ2-ს, სადაც თავმოყრილია კომერციული, კვების, ოფისური და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეები.

ორი მიწისქვეშა დონე გათვლილია 174 პარკინგის ადგილზე, რელიეფის 8-მეტრიანი სხვაობის ეფექტიანი გამოყენებით. ტერიტორიის ურბანული გაუმჯობესების ნაწილი არის გზისპირა სტიქიური ობიექტების ეტაპობრივი ჩანაცვლება და ჯავახეთის ქუჩის გამტარუნარიანობის ზრდა.

პროექტის მნიშვნელოვანი ელემენტია მეტროსადგურთან პირდაპირი საფეხმავლო კავშირი, რომელიც ამცირებს ავტომობილით გადაადგილების საჭიროებას და ზრდის ხელმისაწვდომობას. ახალი განაშენიანება ქმნის მოწესრიგებულ საზოგადოებრივ სივრცეებს, რეკრეაციულ ზონებსა და

შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებულ ინფრასტრუქტურას. საბოლოოდ, პროექტი გარდაქმნის მიმდებარე არეალს და მას მუნიციპალიტეტის მასშტაბით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-საქმიანი ჰაბის ფუნქციას ანიჭებს.

სტატუსი: მიმდინარე









# ოქროყანა მიკრო დასახლება

ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ოქროყანის და კოჯრის გზის მიმდებარედ.

ტერიტორიის ფართობი შეადგენს 10 000კვ/მ-ს.

ტერიტორია წარმოადგენს ნაწილობრივ ფერდობს და მის უკიდურეს მაღალ და უკიდურეს დაბალ წერტილებს შორის სიმაღლის სხვაობა შეადგენს 13მეტრს.  პროექტი  მიზნად ისახავდა წარმოდგენილ ტერიტორიაზე შექმნილიყო თანამედროვე დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბანი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა საჭირო კომუნიკაციით და ასევე კომფორტული და დაცული საცხოვრებელ - საგარაკო ინფრასტრუქტურით იქნებოდა განაშენიანებული.

არსებული სიტუაციის გათალისწინებით საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე განისაზღვრა შენობა ნაგებობის, გადახურვისა და ღობე-გალავნის მოწყობისთვის რეკომენდირებული მასალები.

პროექტით გათვალისწინებულია დაახლოებით 13 ერთეული საცხოვრებელი იყო სახლის და ასევე მისთბის დამხმარე ავტოსადგომებისა და გზის მოწყობა.

სტატუსი:დასრულებული





# სურამი
# სასტუმრო რეზორტი

გდგ-ს ფარგლებში გათვალისწინებულია სასტუმროს ოთხ სართულიანი შენობის, აუზისა, ღია პარკინგების და 24 კოტეჯის მშენებლობა  სასტუმროს შენობა განთავსებულია მიწის ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში.

მას, გააჩნია 4 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული.

მიწისქვეშა სართული დატვირთულია სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკური სივრცეებით

+ 0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია: ლობი, რესტორანი, საერთო სველი წერტილები, საოფისე ფართები.

2,3 და 4 სართულებზი დათმობილი აქვს სასტუმროს ნომრებს.

სტატუსი:მიმდინარე

# საოჯახო სასტუმრო – შეკვეთილი









საოჯახო სასტუმრო მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ნატანები (შეკვეთილი) საპროექტო ობიექტის სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის გაანალიზების ნაწილში გასათვალისწინებელია "ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსისის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები". პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 4 ძირითადი სართულისგან შემდგარი საოჯახო სასტუმროს განთავსება, რომელიც მოიცავს 21 ნომერს. სასტუმროში დამსვენებელ პირთათვის დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება და ადეკვატური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. საპროექტო არეალის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული სახეობის – სასტუმროს ფუნქციონირებისთვის საჭირო სამარშუტო ავტობუსის მისადგომის ჩამოყალიბება, რაც მაქსიმალურად შეინარჩუნებს გზისპირა ლულდონერს და უზრუნველყოფს ობიექტს საჭირო ინფრასტრუქტურით. აღსანიშნავია, რომ ასევე ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამკვეთის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენდა უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

სტატუსი: მიმდინარე







# ჩახრუხაძე
# კულტურული ძეგლის რეაბილიტაცია-
# ადაპტაციის პროექტი





სახლი მდებარეობს ქ. თბილისის ისტორილ უბან – კალაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ანჩისხატის ტაძრის მახლობლად.

მისამართი: ჩახრუხაძის 16

ნაგებობა მთავარი ფასადით გამოდის ჩახრუხაძის ქუჩაზე. ყრუ ფასადებით ჩართულია გვერდით მდებარე შენობების მწკრივში. ერთ-ერთი სამხრეთი მოკლე გვერდით გადის მეზობელ ეზოში.

გრძივი უკანა ფასადით მიმართულია შიდა ეზოსკენ.

პროექტის ფარგლებში განისაზღვრა ჩახრუხაძის ქ.16-ში მდგომ ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე, არსებული ორქანობიანი სახურავის მოდიფიცირება და სამანსარდო მოცულობის მოწყობა.

დაშენების გარდა PROEQTIT გათვალისწინებული იყო ძეგლის ზედმეტი გვიანდელი, არა ღირებული მინაშენებისგან განთავისუფლება, შენობის პირველი სართულის გვირაბით გაყოფილი ორი ნაწილის გაერთიანება ერთ შეკრულ სივცედ DA შიდა ეზოს მხარეს გამავალი ხის აივნის სრული რესტავრაცია, ხოლო მეორე სართულზე მიჯნის ზონაში მეზობლის მხარეს გვიანდელი მიშენებული აივანის და მთლიანი შენობის სასტუმროდ ადაპტირება, რომლის სარდაფის სართულშიც გათვალისწინებულია მცირე ზომის რესტორანი.  პროექტის ფარგლებში მოხდა შიდა ეზოს არსებული ბარაკული შენობების ჩანაცვლება გათბობა-გაგრილება, ვენტილიაციის აგრეგატებისათვის განკუთვნილი სივრცითა და ფანჩატურის ტიპის საზაფხულო ნაგებობით, რაც ეზოს მეტ სიმყუდროვესა და მიმზიდველობას შემატებს. შენობის სრული კონსტრუქციული გაძლიერების სამუშაოები წარმოდგენილია პროექტის კონსტრუქციული ნაწილის  განმარტებით ბარათში.





# ლიც-რეზორტი







LITZ RESORT წარმოადგენს თანამედროვე მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსს, სადაც განთავსებულია 109 მაღალი სტანდარტის ნომერი. არქიტექტურულ კონცეფციაში გათვალისწინებულია ოთხი რესტორანი და სამი კაფე, რომლებიც სხვადასხვა გასტრონომიულ გამოცდილებას სთავაზობს სტუმრებს. კომპლექსს აქვს სრულად აღჭურვილი პრეს-დარბაზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი და ათას სტუმარზე გათვლილი საბანკეტო დარბაზი, რაც მას მნიშვნელოვან ღონისძიებით ჰაბად აქცევს. შენობის სტრუქტურა მოიცავს ექვსსართულიან ძირითად ბლოკს და დამოუკიდებელ ათსართულიან კოშკურას, სადაც განთავსებულია პრემიუმ-კატეგორიის ლუქს-ნომრები. რეზორტის ტერიტორიაზე ინტეგრირებულია ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის ტრანსპორტირების მომსახურებას. კომპლექსი შეიქმნა როგორც თანამედროვე, კომფორტული და მრავალფუნქციური ტურისტული სივრცე, რომელიც ერთდროულად პასუხობს საცხოვრებელი, დასვენებისა და ღონისძიებების მასპინძლობის მაღალი მოთხოვნებს



IDEARCH
GROUP

info@idearch.group

2025

www.idearch.group